შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“
ფინანსური მდგრადობის ანგარიში
2024 წელი

შპს „ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ უკვე 18 წელია რაც ფუნქციონირებს და ემსახურება ახალგაზრდებისთვის სწავლა-განათლების მიცემას. მთელი ამ ხნის მანძილზე, სკოლის მთავარი პრიორიტეტი და მიზანი იყო მოსწავლეებისთვის ხარისხიანი ცოდნის მიცემა, აქედან გამომდინარე არც ერთ წელიწადს სკოლა მოგებაზე არ გასულა, ვინაიდან მთელი შემოსავალი ხმარდებოდა ზემოთ აღნიშნული მიზნის მიღწევას. როგორც მოგეხსენებათ, ბავშვებს ხარისხიან ცოდნას ვერ მისცემ, თუ არ დააფასე შესაბამისად პედაგოგის შრომა. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზნების შესაბამისად, ჩვენი შემოსავლების, რომელიც შედგება სასწავლო გადასახადისა (654619,3 ლარი) და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერული დაფინანსების (73300 ლარი) თანხებისაგან, უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 73%, კერძოდ კი 528738 ლარი იხარჯება სკოლის პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის დარიცხულ ხელფასებზე (საპენსიოს თანხებთან ერთად). სკოლის განკარგულებაში არსებული დანარჩენი თანხებიც მიმართულია სკოლის განვითარებაზე და უხარვეზოდ ფუნქციონირებისთვის, კერძოდ: 126 200 ლარი, ანუ 17% არის იჯარის თანხა; 22 750 ლარი, ანუ 3%-ზე მეტი მიმართულია ბავშვების კვებაზე; 15 451,1 ლარი, ანუ 2%-ზე მეტი, მიდის კომუნალურ გადასახადებზე და ბოლოს 34 780,2 ლარი,ანუ 4,78%, მიდის სკოლის ინვენტარის განახლებაზე და სხვადასხვა მომსახურებებზე, როგორიცაა შრომის უსაფრთხოება, სანტექსერვისი, ჯანდაცვა, სახანძრო უსაფრთხოება, საოფისე აღჭურვილობა, ქველმოქმედება და სხვა.



ქართულ-ინგლისურ სკოლა „ბრიტანიკაში“ 2024 წელს სწავლობდა 248 მოსწავლე. სკოლის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მდგრადია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ობიექტური გარემოებები, კერძოდ:

1. სწავლის გადასახადი კვებასთან ერთად შეადგენს 3000 ლარს წელიწადში ბავშვზე. თუ გავითვალისწინებთ კერძო სკოლების ბაზარს, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი სწავლის გადასახადი საკმაოდ კონკურენტუნარიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სწავლის გადასახადის ისე გაზრდა, რომ ამან არ გამოიწვიოს მშობელთა უკმაყოფილება;
2. მეორე, ეს არის სკოლის მაღალი ავტორიტეტი მოსახლეობაში. თითოეული სასწავლო წლის დასაწყისისთვის ჩვენს სკოლაში სწავლის სურვილის მქონე უამრავი ბავშვისთვის უწევს სკოლას უარის თქმა იმ მიზეზით, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია ავტორიზაციის საბჭოს მიერ; (ამ ეტაპზე, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 250 მოსწავლეა)
3. სწავლის გადასახადის ადმინისტრირების გაუმჯობესება, კერძოდ სკოლის დირექცია ყოველთვის ითვალისწინებს ზოგიერთი ოჯახის ფინანსურ გაჭირვებას და იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მოწადინებულია და კარგად სწავლობს, დირექცია ყოველთვის მიდის დათმობაზე და ცდილობს, რომ ოჯახის ფინანსურმა პრობლემებმა არ იმოქმედოს ბავშვის სურვილზე მიიღოს ცოდნა. ასევე სკოლას გააჩნია, შინაგანაწესით, შეღავათი ერთი ოჯახიდან რამდენიმე ბავშვის სწავლის შემთხვევაში.

დასკვნა: შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ ფინანსური მდგომარეობა მდგრადია.

კახი ლაფაჩი
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა
„ბრიტანიკას“ ბუღალტერი